ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

თბილისი 0114, თავისუფლების მოედანი 2, ტელ: +995 (32) 2 15 92 92; www.sakrebulo.ge
FREEDOM SQUARE 2, 0114 TBILISI, GEORGIA; TEL: +995(32) 2 15 92 92; www.sakrebulo.ge

№ 04/1319, 04/1497, 04/1498

"27" თებერვალი 2015 წ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ დავით ნარმანიას

ბატონო დავით,

გაცნობებთ, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა თქვენი 2015 წლის 23 იანვრის N05-1/15023124 (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რეგისტრაციის თარიღი და ნომერი: 23 იანვარი, N04/1319), 2015 წლის 26 იანვრის N06/15026809-44 (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რეგისტრაციის თარიღი და ნომერი: 26 იანვარი, N04/1497) და N05-1/150261470 (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რეგისტრაციის თარიღი და ნომერი: 26 იანვარი, N04/1498) წერილები.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის და "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გაძლევთ წერილობით თანხმობას ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე გამარტივებული შესყიდვის განხორციელების თაობაზე:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გლდანის რაიონის გამგეობას მიეცეს წერილობითი თანხმობა გლდანის რაიონის ტერიტორიაზე 2015 წლის თებერვლის თვის უფასო კვებით (უფასო სასადილოებით) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით;
2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კრწანისის რაიონის გამგეობას მიეცეს წერილობითი თანხმობა სულთნიშვილის ქ.N2-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე საყრდენი კედლის დამჭერი კონსტრუქციების მოწყობის მიზნით სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის გზით, რომლის სავარაუდო ღირებულებაა 6954.53 ლარი;
3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამგორის რაიონის გამგეობას მიეცეს წერილობითი თანხმობა სამგორის რაიონის ტერიტორიაზე 2015 წლის თებერვლის თვის უფასო კვებით (უფასო სასადილოებით) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

05-1/150261470
06/150268044